ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს შორის

ქ. თბილისი 13 დეკემბერი 2016 წ.

წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ფორმდება შემდეგ მხარეებს შორის:

- ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) წარმოდგენილი თავმჯდომარის, ლევან რაზმაძის სახით, და
- მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) წარმოდგენელი უფროსის, გიორგი თაბუაშვილის სახით.

მხარეები ითვალისწინებენ, რომ:

- სააგენტოს აქვს ერთიანი ელექტრონული სერვისების მიწოდებისა და მასზე მომხმარებელთა ხელმისაწვდომობის მაღალი სტანდარტები და ამავე სტანდარტებით საქმიანობის წარმართვის გამოცდილება;
- მხარეთა კომპეტენციის სფეროებს განეკუთვნება ისეთი საკითხები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია და აუცილებელი ხდება მხარეთა შორის საქმიანობის კოორდინაცია მოქალაქეთათვის გაუმჯობესებული ელექტრონული სერვისების მიწოდების მიზნით.

მხარეები აცნობიერებენ რა ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელობას, თანხმდებიან მემორანდუმის შემდეგ პირობებზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

მხარეები გამოხატავენ და ადასტურებენ სურვილსა და მზადყოფნას, ითანამშრომლონ კანონმდებლობით ნებადართული ფორმით ამ მემორანდუმის ფარგლებში.

მუხლი 2. მემორანდუმის საგანი

ამ მემორანდუმის საფუძველზე მხარეთა თანამშრომლობა განისაზღვრება შემდეგნაირად: შემოსავლების სამსახური, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (მოთხოვნის პარამეტრი - ს/ნ), შემოსავლების სამსახურის ვებსერვისის საშუალებით, სასყიდლის გარეშე, მიაწოდებს შემოსავლების სამსახურის მიერ გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული ორგანიზაციების (**საჯარო სამართლის იურიდიული პირი და საბიუჯეტო ორგანიზაცია; უცხოური საწარმო/ორგანიზაცია, მისი მუდმივი დაწესებულება; დიპლომატიური სტატუსის მქონე ორგანიზაცია; გაერთიანება, ამხანაგობა და სხვა მსგავსი წარმონაქმნი**) შესახებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) ორგანიზაციის სახელწოდება;

ბ) სამართლებრივი ფორმა;

გ) იურიდიული მისამართი.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1 მხარეები ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებას და შეასრულებენ ამ მემორანდუმით გათვალისწინებულ უფლება-ვალდებულებებს;

2. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, რათა მემორანდუმის ფარგლებში ერთობლივი საქმიანობის დაგეგმვისთვის და ცალკეული გადაწყვეტილებების შესასრულებლად, საჭიროების შემთხვევაში, გამოყონ შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომელი/თანამშრომლები.

4. მემორანდუმის მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძვლები

1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

2. მემორანდუმის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმება;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

5. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილების ან დამატების შეტანა დაიშვება წერილობითი ფორმით, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

2. საკითხებს, რომელებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე მემორანდუმით, მხარეები წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. მემორანდუმი შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად.

მხარეთა ხელმოწერები:

სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“

სსიპ „შემოსავლების სამსახური“